



ფინანსური ინოვაციების ეფექტიანობა საბანკო სფეროში

მარიამ ხაბურზანია,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობაში ფინანსური ინოვაციების განვითარების, განხორციელების და მათი მგრძნობელობის შეფასებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ფინანსური ორგანიზაციებისგან. ყოველმა კომერციულმა ბანკმა ინოვაციების განვითარებამდე ან განხორციელების დაწყებამდე უნდა შეადგინოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, გაანალიზოს შესაძლო სირთულეები, ამ პროექტის უპირატესობა და უარყოფითი მხარეები. კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით, ფინანსური ინოვაციების დანერგვის პროცესი შეიძლება იყოს ეფექტიანი ან ნაკლებად ეფექტიანი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ეფექტიანობა, ეფექტიანობის მაჩვენებლები; ინტეგრალური ეფექტი; მომგებიანობის ინდექსი; რენტაბელობის ზღვარი; კაპიტალური ინვესტიცია.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ინოვაციების მართვა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ფართოდ გავრცელებული, ამიტომ კომერციული ბანკები იძულებულნი არიან დამოუკიდებლად განავითარონ

ეფექტიანობის მაჩვენებლები. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ორგანიზაციისთვის ეფექტურობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს ინდივიდუალური, რაც დამოკიდებულია ინოვაციების მიზნებსა და ხასიათზე. როგორც წესი, ინოვაციების ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენებენ საერთო ეფექტიანობის ან შედარებით ეფექტიანობის მაჩვენებლებს.

ვ.ს. ნოვიკოვი გვთავაზობს ინოვაციური პროექტის საერთო ეფექტიანობის შემდეგ მაჩვენებლებს:¹

- საჯარო (სოციალურ-ეკონომიკური) ეფექტიანობის მაჩვენებლები;
- კომერციული (მრეწველობა) ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ფინანსური ინოვაციების სოციალური ეფექტიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ხელს უწყობენ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, საერთო კეთილდღეობას, პერსონალის მუშაობის პირობების, პროდუქტიულობის ზრდას და ცხოვრების პირობების განახლების დაჩქარებას.

სოციალურ ეფექტიანობასა და კომერციულ ეფექტიანობას შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ პირველადი მაჩვენებლები შეიძლება გამოიყენონ ფართომასშტაბიანი პროექტებისთვის და ითვალისწინებდეს ხარჯებსა და შედეგებს, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოებაში მთლიანად ინოვაციური პროექტის გავლენის ხარჯების გაზომვას და მეორე-კონკრეტულ მაჩვენებლებს. ფინანსური ინოვაციების მაგალითი, რომელიც ასახავს სოციალურ ეფექტიანობას, არის ინტერნეტ და ვირტუალური ბანკების შექმნა, ანუ ისეთი ინოვაციები, რომლებიც მთლიანად საზოგადოების აზრებსა და

¹ .Новиков, В.С. Инновации в туризме [Текст] /В.С. Новиков. - М.: ИЦ «Академия», 2007. - С.102.

შეხედულებას შეცვლის. ასე რომ, ბანკების ვირტუალური მომსახურებით სარგებლობა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უმნიშვნელოა, მოსახლეობის ნაწილი ამჟამინებს ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებას. ეს რადიკალურად ცვლის კლასიკური ბანკის იდეას და ზოგავს არა მხოლოდ დროს, არამედ თანხებს (არა საკომისიოს).

ფინანსური ინოვაციების დანერგვის სამეცნიერო და ტექნიკური ეფექტიანობა აისახება საბანკო სექტორის განვითარებაში. საბანკო სექტორში გამოყენებული ტექნიკა და ტექნოლოგიები, საბანკო მეცნიერების განვითარებაში უაღრესად დიდია. ამ შემთხვევაში სამეცნიერო ცოდნა ინოვაციური პროექტის განხორციელების საფუძველია. სამეცნიერო და ტექნიკური ეფექტის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ ქულით გამოხატული შეფასების ინდიკატორები, სიახლის, საგამომგონებლო და პრაქტიკული სარგებლის გათვალისწინებით.²

განვიხილოთ თითოეული ტიპის ეფექტიანობა უფრო დეტალურად.

ინოვაციური პროექტების ეფექტიანობა გაიანგარიშება ეფექტიანობის კოეფიციენტის შემდეგი ფორმულით.³

$$E = \frac{R}{E} \text{ (პირდაპირი მაჩვენებელი)}$$

$$E = \frac{E}{R} \text{ (არაპირდაპირი მაჩვენებელი),}$$

სადაც, E -ინოვაციური პროექტების ეფექტიანობის კოეფიციენტი, R-პროექტის რეალიზაციის შემდეგი, E - პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

² Василевская, И.В. Инновационный менеджмент [Текст]/И.В. Василевская. М.: ИНФРА-М, 2008. - С. 236

³ Инновационный менеджмент [Текст]/под ред. С.Д. Ильенковой. М.: Юнити-ДАНА, 2002. С. 286.

ო.ა.ზვერევი სტატიაში „ბანკები და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციები“ აღნიშნავს, რომ ინოვაციების ეფექტიანობის მაჩვენებლების განვითარება მიზანშეწონილია ხარისხიანი ფინანსური მაჩვენებლების დამატებით (ბანკში განხორციელებული იდეების წილი, დრო იდეის წარმოშობიდან მის რეალიზაციამდე და ა.შ.).⁴ ამ მაჩვენებლის გამოყენებით იგი განმარტავს, რომ ინოვაცია არის ბანკის ძირითადი რესურსი, რომელიც საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემული მიდგომა არ გამოიყენება. ამის მიხედვით $MV=P/W$, სადაც P-მოგების მაჩვენებელია, W- ბანკის ინოვაციური კომპლექსის ინვესტირებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება.⁵

ინოვაციების საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად ეკონომიკური ლიტერატურაში მოყვანილია შემდეგი მაჩვენებლები:⁶

- ინტეგრალური ეფექტი;
- მომგებიანობის ინდექსი;
- რენტაბელობის ზღვარი;
- გადახდის პერიოდი.

ინტეგრალური ეფექტი (სუფთა დისკონტური შემოსავალი) მიღებული НИОКР-ის შედეგების ჩატარებიდან და დანერგვიდან

$$\Theta_{\text{и}} = \sum_t \frac{V_t}{(1+E)^{t-t_0}}$$

⁴ Зверев, О.А. Банки и организационно-управленческие инновации [Текст]/О.А. Зверев// Банковские услуги. - 2007. - № 12. - С.66.

⁵ იქვე.

⁶ Инновационный менеджмент [Текст] / под ред. С.Д. Ильенковой. - М.: Юнити-Дана, 2002. - С. 122.

$$\alpha_t = \frac{1}{(1+E)^{t-t_0}}.$$

სადაც α_t - შემოსავლის ან ხარჯების საბაზისო მომენტის t_0 დროისთვის მიყვანის განხორციელების t მომენტში

V_t - ნამატი ფულადი ნაკადი (cash cover) t -წლის გამოთვლის პერიოდში დანერგილი განვითარების შედეგებისგან.⁷

მომგებიანობის ინდექსი წარმოადგენს მიღებული შემოსავლების შეფასებას ამავე თარიღისთვის მიღებული ინოვაციის ხარჯებთან შეფარდებით. მომგებიანობის ინდექსის განგარიშება ხდება ფორმულით:

$$J_R = \frac{\sum_{t=0}^{T_p} D_j \cdot a_t}{\sum_{t=0}^{T_p} K_t \cdot a_t},$$

სადაც, J_R - მომგებიანობის ინდექსია, D_j - შემოსავალი j პერიოდში, K_t - ინვესტიციის ოდენობა ინოვაციაში t პერიოდში.

ზემოთ აღნიშნული ფორმულა ასახავს მრიცხველში ინოვაციის დაწყების დროს წარმოდგენილ შემოსავალს და დენომინატორში - საინვესტიციო პროცესის დაწყებამდე დისკონტირებულ ინოვაციაში ინვესტიციის ოდენობას.

⁷ Гильманова, Р.И. Методы оценки экономической эффективности инноваций с учетом их жизненного цикла [Текст] / Р.И. Гильманова // Управление экономическими системами: электронный научный журнал / Режим доступа: <http://www.uecs.ru/marketing/item/391-2011-04-25-07-58-50>.

რენტაბელობის ზღვარი არის დისკონტირების განაკვეთი, რომლის დროსაც გარკვეული წლების განმავლობაში დისკონტირებული შემოსავლის ღირებულება ინოვაციური ინვესტიციების ტოლია. ამ შემთხვევაში ინოვაციური პროექტის შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრება გამოთვლილ დროში:

$$In = \sum \frac{In_t}{(1+E_p)^t}, \quad Ex = \sum \frac{Ex_t}{(1+E_p)^t}$$

ეს მაჩვენებელი სხვაგვარად ახასიათებს კონკრეტული ინოვაციური გადაწყვეტის მომგებიანობის დონეს, რომელიც გამოხატულია დისკონტის განაკვეთის სახით, რომლის მიხედვითაც ინოვაციიდან ფულადი ნაკადების ღირებულება მცირდება საინვესტიციო ფონდების ამჟამინდელი ღირებულებით. უცხოურ პრაქტიკაში ეს მაჩვენებელი გამოიყენება საინვესტიციო ანალიზის საწყის ეტაპად. მხოლოდ ის ინოვაციური პროექტები გადავა მომდევნო ეტაპზე, რომლის დაბრუნების მაჩვენებელი სავარაუდოდ არანაკლებ 15-20% იქნება.

კაპიტალის ინვესტიციების (TP_1) გადახდის პერიოდი, რომელიც გამოითვლება მისი წარმოების სფეროში ინოვაციების განხორციელებით შექმნილი წმინდა შემოსავალით:⁸

$$CP_1 = \frac{Ex_1}{ANi_1/T_p}$$

სადაც, Ex_1 - მკაპიტალური ინვესტიციების თლიანი მოცულობაა, რომელიც მიმართულია პროდუქციის სფეროში ინოვაციების რეალიზაციისათვის,

ANi_1 - მისი წარმოების სფეროში ინოვაციების განხორციელებისას მიღებული წმინდა შემოსავლების მთლიანი თანხა;

T_p - წარმოების სფეროში ინოვაციების გამოყენების ვადა წლების მიხედვით.

⁸ Экономика инноваций: учебник (ГРИФ) [Текст] / под ред. В.Я. Горфинкель. - М.: ИНФРА-М, Вузовский учебник, 2009. - С. 115.

დასკვნა

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ ფინანსური ინოვაციების ეფექტიანობა არის ინოვაციური პროექტის შესაბამისობა, რომელიც მონაწილეთა მიზნები და ინტერესებია.

ინოვაციების დანერგვა საშუალებას მისცემს ბანკებს ოპტიმალურად გამოყონ თავიანთი რესურსები, ხარჯები მინიმუმამდე შეამცირონ, გააუმჯობესონ მომხმარებლებისთვის საბანკო პროდუქტების მიწოდების არხები, ასევე მომსახურების ხარისხი, რაც გაზრდის საბანკო საქმიანობის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს ბანკის კონკურენტუნარიანობისა და ფინანსური ბაზრის ზრდას.

ლიტერატურა:

1. Новиков, В.С. Инновации в туризме [Текст] /В.С. Новиков. - М.: ИЦ «Академия», 2007. - С.102.
2. Василевская, И.В. Инновационный менеджмент [Текст]/И.В. Василевская. М.: ИНФРА-М, 2008. - С. 236
3. Инновационный менеджмент [Текст]/под ред. С.Д. Ильенковой. М.: Юнити-ДАНА,2002. С. 286.
4. Зверев, О.А. Банки и организационно-управленческие инновации [Текст]/О.А. Зверев// Банковские услуги. - 2007. - № 12. - С.66.
5. Инновационный менеджмент [Текст] / под ред. С.Д. Ильенковой. - М.: Юнити-ДАНА,2002. - С. 122.
6. Гильманова, Р.И. Методы оценки экономической эффективности инноваций с учетом их жизненного цикла [Текст] / Р.И. Гильманова // Управление экономическими системами: электронный научный журнал /
7. Экономика инноваций: учебник (ГРИФ) [Текст] / под ред. В.Я. Горфинкель. - М.: ИНФРА-М, Вузовский учебник, 2009. - С. 115.aw

REFERENCES:

1. V.S. Novikov, "Innovations in tourism". I.C. "Academy" 2007. P.102
2. I.V. Vasilevskaia, "Innovative Management" INFRA-M, 2008 p.236
3. S.D. Ilenkovoi. "Innovative Management" UNITY-DANA 2002 p.286
4. O.A. Zverev. "Banks and organizational and managerial innovation", Banking services. 2007 № 12. - p.66
5. S.D. Ilenkovoi. "Innovative Management" UNITY-DANA 2002 p.122
6. R.I.Gilmanova, "Methods for assessing the economic efficiency of innovation, taking into account their life cycle // Management of Economic Systems: electronic scientific journal//
7. V.I. Gorfinkel, "Economics of Innovation: a textbook" INFRA-M, University textbook 2009 p. 115

THE EFFECTIVENESS OF FINANCIAL INNOVATIONS IN THE BANKING SECTOR

Mariam Khaburzanian,
Phd Student of Georgian Technical University

RESUME

Commercial banks need a special attention from financial organizations to develop, implement and assess the sensitivity of financial innovations. Each commercial bank must complete a specific action plan before analyzing or implementing innovations, analyze the possible difficulties, advantages and disadvantages of the project. Considering the specific factors, the process of financial innovations introduction can be effective or less effective.

Keywords: Innovation, Efficiency, Efficiency indicators; Integral effect; Profitability index; Margin of profitability; Capital investment.